

# ხობის მოამბე

№21 (7080) 15 ნოემბერი, შაბათი, 2016 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

„ჩვენმა ხალხმა აირჩია ის კანდიდატები, რომლებიც ემსახურება საქართველოს, ჩვენს ერს“.

*ილია მეორე*





საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტური 30.10.2016

№ 64 საარჩევნო ოლქი

არჩევნების მეორე ტური

საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი 42

| | | |
|---|---|---|
| 1 | ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | 44940 |
| 2 | არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | X21015 |
| 3 | მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | X42100 |
| 5 | მამუკა ჭოხონელიძე | XX6015 |
| 41 | ირაკლი ბერაია | X14530 |
| 4 | ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | X20545 |
| 5 | ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | XXX454 |

პარლამენტის წევრად არჩეულია ირაკლი ბერაია

შედგენის თარიღი: 8. 11. 2016 წ.

დრო: 15 საათი 30 წუთი

## საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურში №64 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრად არჩეულია ირაკლი (დაჩი) ბერაია (70, 67%).

**ირაკლი ბერაია** დაიბადა 1976 წლის 23 ივლისს ქალაქ ხობში.

1993 წელს წარჩინებით დაამთავრა ხობის №2 საშუალო სკოლა.

1998წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ წიფო უნივერსიტეტის ფინანსების და საბანკო საქმის ფაკულტეტი.

2001 წლიდან მუშაობს სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“, სადაც გაიარა ყველა კარიერული საფეხური.

2004-2005 წლებში მუშაობდა სს „ბანკი ქართუს“ საკრედიტო დეპარტამენტის ექსპერტად.

2005-2007 წლებში იყო სს „ბანკი ქართუს“ საკრედიტო დეპარტამენტის სესხების ადმინისტრირების და მეთოდოლოგიის განყოფილების საკრედიტო მენეჯერი.

2007-2008 წლებში გადავიდა „ბანკი ქართუს“ საკრედიტო დეპარტამენტის სესხების ადმინისტრირების და მეთოდოლოგიის განყოფილების უფროსად.

2008-2013 წლებში მუშაობდა სს „ბანკი ქართუს“ საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ.

2013 წლიდან დეპუტატობის კანდიდატად წარდგენამდე მუშაობდა სს „ბანკი ქართუს“ ცენტრალიზებული ადმინისტრირების დეპარტამენტის დირექტორად.

ჰყავს მეუღლე–მაია გეგეშიძე და ორი შვილი–9 წლის არჩილი და 5 წლის მარიამი. მშობლები: მამა ალბერტი ბერაია, პროფესიით ინჟინერი, ამჟამად პენსიონერი.

დედა–დოდო გაბუნია, პროფესიით ექიმი პედიატრი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

ძმა-ლევან ბერაია, პროფესიით ეკონომისტი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ემ-ბი-სის“ რისკების დეპარტამენტის უფროსი.

*„მზად ვარ მაქსიმალურად გავიაზრო და გავითავისო საზოგადოების თითეული წევრის ხედვა. მოუგვარებელი და გადაუჭრელი საკითხი არ არსებობს. მთავარია ვიყოთ ერთ მუშტად შეკრულნი, მონდომებულნი და ქვეყნის სწრაფ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულნი“.*

*ირაკლი (დაჩი) ბერაია*

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

## მიზანი: ვემსახუროთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის



1 ნოემბერს, ქ. ხობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ მოსახლეობას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

გამგებლის ანგარიში შეეხებოდა 2016 წელს განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურულ, კულტურულ, სკოლამდელი აღზრდის და განათლების სფეროებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მზარდ ტენდენციას, რომელიც აისახა კონკრეტული ციფრებით და გამოვლინდა წარმატებით განხორციელებული პროექტების სახით.

ვრცლად 3–7 გვ-ზე

## „ვრჩები თქვენთვის საიმედო მეგობრად და ერთგულ თანამემამულედ“

**გოდერძი ბუკიამ ხობის ახალ მაჟორიტარს ირაკლი (დაჩი) ბერაიას გამარჯვება მიულოცა**



„ჩემო ერთგულო და მადლიერო ხობელებო! ჩემო საზრიანო მეგობრებო, ზუგდიდელებო!

თითოეულმა თქვენგანმა სათანადოდ გაითავისა დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მუხტი და სწორი არჩევანი გააკეთა. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ გყავთ ღირსეული, პრინციპული და საქმის მკეთებელი დეპუტატი ირაკლი (დაჩი) ბერაიას სახით.

ჩემო კოლეგავ, (მე ასე ვუწოდებ დღესაც ჩემს თავს), გილოცავ ამ გამარჯვებას. გისურვებ, იყო საზოგადოებისთვის მუდამ სასურველი, დაუღალავი, ბევრი სასიკეთო საქმის ინიციატორი და ერთგული გარემოცვით განებივრებული. ჩვენ ერთი გუნდი ვართ. ვიყავი და ვარ შენს გვერდით ჩემი რეგიონისა და ქვეყნის სწრაფი განვითარების და ეკონომიკური კეთილდღეობის საქმეში.

საკანონმდებლო ორგანოდან ჩემი წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ ამით ოდნავ მაინც შესუსტდება ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. უცვლელად ვტოვებ ყველა იმ პროექტის ვალდებულებას, რომელიც რეგიონში და უშუალოდ ხობში ჩემი ინიციატივით დაწყებულა. მე ვრჩები თქვენთვის საიმედო რიგით ხობელად, მეგობრად და ერთგულ თანამემამულედ. მუდამ თქვენს გვერდში მდგომი გოდერძი ბუკია“,–აღნიშნულია მილოცვაში.

## ნომრიდან ნომრამდე

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



27 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“, რომელშიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სადამფუძნებლო განკარგულებებში განხორციელდა ცვლილები და ძალადაკარგულად გამოცხადდა მათი წესდებები, ხოლო შესაბამისი ჩანაწერით ეს უფლებამოსილება მიენიჭა მუნიციპალიტეტის გამგებელს.

სხდომაზე ასევე განხილულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების ანგარიში, რომლის მიხედვითაც 2016 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 12891.7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 13663.4 ათასი ლარი.

2016 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 78.8 %-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

# ხობში აქცია–„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ გაიმართა



11 ნოემბერს ქ. ხობში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით ლეიკემიით დაავადებული პაციენტებისთვის უანგარო დონორთა აქცია - „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ გაიმართა.

უანგარო დონორთა აქციის ფარგლებში დახმარების მსურველებმა სისხლი მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ შპს „სისხლის ბანკის“ წარმომადგენლებს ჩააბარეს.

საქველმოქმედო აქციაში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა.

თქვენს მიერ გაღებული სისხლით შეგიძლიათ გადაარჩინოთ ბავშვების სიცოცხლე. 400 მგ. სისხლისგან, რომელსაც თქვენ აბარებთ, მზადდება სამი კომპონენტი . ესენია: ერითროციტული მასა, ახლად გაყინული პლაზმა და თრომბოციტული მასა.

სისხლის დონორობა უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის. დონორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ჯანმრთელი ადამიანი 18-დან 60 წლამდე, თუ თქვენი წონა 50 კგ და მეტია. სისხლის ჩაბარების პროცედურა ძალიან მარტივია, სულ რაღაც 10 წუთი და თქვენ უკვე დონორი ხართ. ამასთანავე აქციაში მონაწილე ყველა დონორს უფასოდ ჩაუტარდება შემდეგი კვლევები: სისხლის ჯგუფი და რეზუს ფაქტორი, სისხლის საერთო ანალიზი, აივ ინფექცია, ჰეპატიტი C, ჰეპატიტი B და სიფილისი.

## დაიჯესტი

# გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა



11 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

საუბრის დასაწყისში, გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გერმანელი ხალხის სახელით, მადლობა გადაუხადა, ავღანეთში გერმანიის გენერალურ საკონსულოზე მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის მოგერიების დროს, ქართველი სამხედროების მიერ გამოჩენილი სიმამაცის გამო. ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა მადლიერება გამოხატა, თითოეული ქართველი სამხედროს მიმართ, რომელებმაც თავდასხმის მოგერიება და საკონსულოს ყველა თანამშრომლის უვნებლად გადარჩენა უზრუნველყვეს. თავის მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ასეთი ფაქტები კიდევ უფრო ამყარებს ორ ქვეყანას შორის არსებულ მტკიცე კავშირს.

საუბრის დროს, გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მის პოლიტიკურ გუნდს საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მიულოცა. მანვე, პრემიერს, მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა და გერმანიის მთავრობის სახელით, საქართველოს მთავრობას, სრული პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვა.

საუბარი ასევე შეეხო, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დროულად ამოქმედების მნიშვნელობას. გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის თქმით, იგი არ დაიშურებს ძალისხმევას, რათა ეს საკითხი დროულად გადაწყდეს.

სატელეფონო საუბრის დროს, მხარეებმა რეგიონში არსებული ვითარება მიმოიხილეს და საქართველო-გერმანიას შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

# მუნიციპალიტეტები საჭირო სასწავლო პროგრამებს თავად შეარჩევენ



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული, ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ორგანიზებით ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისთვის უწყვეტი სწავლების სისტემის პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ–თენგიზ შერგელაშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილემ - შომბი შარპი ვილიმ-და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა–ოლივიე ბურკმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა ინოვაციური მექანიზმია, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტების უზრუნველყოფა მოხელეების საჭიროებებზე მორგებული, ხარისხიანი სასწავლო პროგრამებით. სისტემის ფარგლებში შექმნილი ელექტრონული ბაზა საშუალებას აძლევს ტრენინგის მიმწოდებლებს დაარეგისტრირონ თავიანი პროგრამები, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობებს–მოიძიონ და შეისყიდონ ხარისხიანი სასწავლო ტრენინგები.

მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების ხელშეწყობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა.

# იან კელი–მხარდაჭერა, რაც ჰქონდა საქართველოს, გაგრძელდება



„რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ ის მხარდაჭერა, რაც ჰქონდა საქართველოს, გაგრძელდება,–ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმ აშშ-ში ჩატარებულ არჩევნებზე კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ის კვლავ ფოკუსირებულია საქართველოს მხარდაჭერაზე და გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.

„კარგია ის ფაქტი, რომ ამერიკის მხრიდან არის საქართველოს მხარდაჭერა და ამას ადასტურებს კონგრესის გადაწყვეტილებები საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ.

მე ველოდები ახლა უკვე გადაბარების პროცესს. ამ კვირაში იქნება სამუშაო შეხვედრები ამასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ ის მხარდაჭერა, რაც ჰქონდა საქართველოს, გაგრძელდება“,–განაცხადა კელიმ.

მისივე თქმით, აშშ-ში სიტყვისა და მედიის თავისუფლება არ შეცვლილა 240 წლის განმავლობაში და ეს არ შეიცვლება.

”ეს არის ძირითადი ნაწილი კონსტიტუციის და ერთ-ერთი მთავარი ღირებულება და რა თქმა უნდა, ეს ვერ შეიცვლება. ასეთი სახის გადაწყვეტილება, რომ ვთქვათ შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება თუ გამოხატვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, არ მოხდება“,–განაცხადა კელიმ.

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

# მიზანი: ავამოქმედოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!

მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ანგარიში განვლილი წლის მანძილზე გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა მართებს, რათა ადგილობრივ დონეზე ეფექტურად, კომპეტენტურად და ოპერატიულად მოაგვაროს ისეთი სახის საკითხები, რომლებიც საზოგადოებისთვის პირველი რიგის ინტერესებს წარმოადგენენ.

ამ მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა განვლილი პერიოდის განმავლობაში, რაც მუდმივად და მზარდად აისახება ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე .




გაწეული საქმიანობის ეფექტურობაში თანაბარი წვლილი მიუძღვის გამგეობის თითოეულ სამსახურს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად აღასრულებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს.

გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგენთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისთვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს:

მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლები, რომლის მოცულობითაც იგი წლების განმავლობაში გამორჩეული იყო სხვა მუნიციპალიტეტებისგან.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის 30 დადგენილებით დამტკიცებულიქნა მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 6644,2 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 6690.6 ათასი ლარის ოდენობით.

2016 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 12891,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 13663,4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 5907,3 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია, მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად–220.0 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი–2127,7 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულია 848,3 ათასი ლარი, ხოლო 2711.3 ათასი ლარი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდანაა გამოყოფილი ინფრასტრუქტურისა და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების დიდი ნაწილი ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მისი განვითარებისთვის მიიმართა.

ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად გამგეობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მეშვეობით. სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებებისა და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.



ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას. ამ მიზნით საჭირო ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, სატრანსპორტო რეგულირების, ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

ასევე განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხი. სამსახურის მიერ საჭიროების შემთხვევაში მზადდება შუამდგომლობები ლიცენზიებისაგან გამოსანთავისუფლებელი იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილის საფუძველზე მონიტორინგს ვაწესებთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და ათვისების საკითხებზე.

ადგილობრივ ბიუჯეტში 9 თვის მდგომარეობით ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 110444 ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში შემოსულია 3876 ლარი, წყლის რესურსის სარგებლობიდან 36692 ლარი, ქონების გადასახადის სახით, გარდა მიწისა, შემოსულია 2913285 ლარი.

ეკონომიკური პროფილით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით გამგეობაში მოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სტატისტიკის აღიცხვის განყოფილება, რომელიც ამ სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთ ხელშემწყობ ორგანოს წარმოადგენს. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისა და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას, აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირების დახმარების გაწევას პრობლემების გადაწყვეტაში.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებული პოლიტიკა დარგის მაქსიმალურად მცირე დროში განვითარებისკენაა მიმართული. ხელისუფლება სისტემატიურად ახორციელებს ისეთი ტიპის ცვლილებებს, რომელმაც გლეხებს, ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის დარგში ჩართულ მეწარმეებს მეტი სტიმული უნდა მისცეს.

2016 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, საგაზაფხულო სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმატებით დასრულდა, აღნიშნული სამუშაოების განხორციელების პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული სოფლის მეურნეობისა და სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილება.

მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების პროექტით ხობის მუნიციპალიტეტში სახნავი ბარათით ისარგებლა 10503 ბენეფიციარმა. მოხნულიქნა 7457 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა. აგრობარათზე შესაბამისი ქულები დაერიცხა 3500-მდე ბენეფიციარს.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრეინინგი და ოფიციალურად დამტკიცებული კითხვარების საშუალებით ინფორმაცია წარედგინა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნით, შპს ნიადაგისა და სურსათის დიაგ-

»»»»»»»» 4

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

# მიზანი: ავამოქმედოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის

3 ⋘

ნოსტიკურ ცენტრ „ანასეულის“ თანამშრომლებთან ერთად შესწავლილიქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების შესახებ ინფორმაცია. შერჩეულიქნა თორსადღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაის პლანტაცია, საიდანაც აღებულია მიწის სინჯები ჩაის კულტურის შემდგომი რეაბილიტაციისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს, ნიადაგში ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის საფუძველზე, შემუშავდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების რეკომენდაციები კონკრეტული ნაკვეთებისთვის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაიწყო პროგრამა „დანერგე მომავლის“ მეორე ეტაპი–ცვლილებაშეტანილი პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა რამდენიმე ფერმერმა. პროექტის ფარგლებში 5 ჰექტრის ნაცვლად მიწის მინიმალური ფართობი 1 ჰექტარით არის განსაზღვრული.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილების შესაბამისად მომზადდა წერილები ლატვიის რესპუბლიკის დაუგავპილსის მხარესთან, პოლონური კომპანია „RONOR”-თან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფერმერებთან სასოფლო-სამეურნეო ბაზრის თავისებურებების შესწავლის, გაცვლითი პროგრამების და პროფესიული გამოცდილების მიზნით შემდგომი თანამშრომლობის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად წაადგება მუნიციპალიტეტს, არსებული რესურსების მაქსიმალურად და ეფექტურად ამოქმედებაში.

მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, რაც საბიუჯეტო თანხების ეფექტურად ათვისებით მიიღწევა და მუნიციპალიტეტის საქმიანობა არაერთხელ იქნა წარმატებულად აღიარებული არამარტო რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ სფეროში გამგეობის სამსახურებიდან ძირითადი დატვირთვა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის.

**I.** 2016 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებულიქნა 5 პროექტი, საერთო თანხით 2 193,00 მილიონი ლარი, კერძოდ;

1. ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუშქურში წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები–475.0 ათასი ლარი.

2.ხობის №1საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები–464,0 ათასი ლარი.

3. კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნა–850.0 ათასი ლარი. მათ შორის 2016 წლისთვის გათვალისწინებულია 475,0 ათასი ლარი.

4. ქალაქ ხობში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები–541,0



ათასი ლარი.

5. ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენა–445.0 ათასი ლარი. მათ შორის 2016 წლისთვის გათვალისწინებულია 238.0 ათასი ლარი.

**II**. 2015 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში დასრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები 917,7 ათასი ლარის ღირებულებით.

**III**. 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულია ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები–65,0 ათასი ლარი.

2. მუნიციპალიტეტის მინი სტადიონების მოვლა-შენახვის სამუშაოები–14,4 ათასი ლარი.

3. ქვემო ქვალონის ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები–32,7 ათასი ლარი.

4. ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მეწყრული პროცესებით დაზიანებული მონაკვეთის სარემონტო სამუშაოები–1,4 ათასი ლარი.

5. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ დურღენას საბავშვო ბაღის მესამე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები–57,6 ათასი ლარი.

6. შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ სტადიონზე არსებული გასახდელი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 8,3 ათასი ლარი.

7. ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოკავების სამუშაოები–26,6 ათასი ლარი.

8. ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩა 185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის შესასვლელი კარების სარემონტო სამუშაოები–2,1 ათასი ლარი.

9. ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის სარემონტო სამუშაოები–3,8 ათასი ლარი.

10.სოფელ ყულევში წყლის შეზიდვა–15,1 ათასი ლარი.

11. ზემო ქვალონის, ქვემო ქვალონისა და პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მოსახლეობის სასმელი წყლის ჭაბურღილების ლაბორატორიული გამოკვლევა–1,6 ათასი ლარი.

12. ქ. ხობში კულტურის სახლის მიმდებარე სკვერის სარემონტო სამუშაოები–2,3 ათასი ლარი.

13. ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე (საგადასახადოს შენობის) ფასადის, მიმდებარე ტერიტორიის, ბილბორდის, წარწერების, სკვერისა და დეკორატიული ღობის სარემონტო სამუშაოები–28,0 ათასი ლარი.

14. ქ. ხობში არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (ჭყონდიდელის ქუჩა) სამუშაოები–43,0 ათასი ლარი.



15. ქ. ხობში არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (სტალინის ქუჩა) სამუშაოები–22,1 ათასი ლარი.

16. ქ. ხობში არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (კოსტავას ქუჩა) სამუშაოები–27,8 ათასი ლარი.

17. ქ. ხობში არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (ცოტნე დადიანის ქუჩა, ყოფილი სპორტსკოლის/ინტერნატის შენობის მიმდებარე) სამუშაოები–31,6 ათასი ლარი.

**IV.** რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებულ იქნა შემდეგი თანხები:

1. ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუშქურში წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები –25.0 ათასი ლარი.

2. ხობის №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები–24.4 ათასი ლარი.

3. კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნა– 850.0 ათასი ლარი, მათ შორის 2016 წლისთვის გათვალისწინებულია–25.0 ათასი ლარი.

4. ქალაქ ხობში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები–28.5 ათასი ლარი.

5. ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენა–445.0 ათასი ლარი, მათ შორის 2016 წლისთვის გათვალისწინებულია 12.5 ათასი ლარი.

V. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოყოფილიქნა 848,3 ათასი ლარი.

ამ პროგრამით მუნიციპალიტეტის სოფლებში ბოლო ცხრა თვის განმავლობაში განხორციელდა 548.0 ათასი ლარის სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები (სულ 49 პროექტი)

სამსახური კოორდინაციას უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირებას, კერძოდ, სამსახურის წინადადებით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მგლის 6 და ტურის 10 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შეიქმნა მონადირეთა 9 ჯგუფი. გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულიქნა მგლის ერთი ინდივიდი.

გარდა ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ისეთი სახისა და მნიშვნელობის პროექტები, რომელთა საშუალებით საზოგადოება ერთიორად უკეთ მიიღებს სარგებელს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ქ. ხობში მიმდინარე წყალმომარაგების მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ქალაქის მოსახლეობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი 24 საათიანი შეუფერხებელი წყალმომარაგებით.

პროექტის ფარგლებში განახლდება სათავე ნაგებობები, ჭაბურღილები და გამოიცვლება ქალაქის ქსელის ამორტიზებული მილები. პროექტის ღირებულება 3 500 000 ლარია.

„რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში,

⋙ 5

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

# მიზანი: ავამოქმედოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის

4 <<<<<<<<<<<<<<

220/110 კვ-ანი ქვესადგური „ხორგა“ აშენდა. პროექტი „აზიის განვითარების ბანკი“-ს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 11,9 მლნ ევრო შეადგინა;

პატარა ფოთის და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასრულდა მაგისტრალურ არხზე (8350 გრძივი მეტრი) ხიდების მოწყობის პროექტი. კერძოდ, აშენდა 36 (მათ შორის: 7 მძიმე ტექნიკის, 20 საავტომობილო, 9 საფეხმავლო) და კაპიტალურად გარემონტდა 9 ხიდი. სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ 940 000 ლარი შეადგინა.

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის (SLRP III) ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხობის მუნიციპალიტეტში, მსხვილმასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს.

შიდასახელმწიფოებრივი გზის ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის სადგურის 10.5 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და პროექტის საწყისი სახელშეკრულებო ღირებულება 5963000 ლარს შეადგენს.

გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ღონისძიებებს, რასაც გამგეობა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით ახორციელებს.

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნო ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულიქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზდობას, ბავშვებს მიეცეს საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვრცლად ვისაუბრეთ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ ამ სფეროების ცალკეულ ობიექტებზე.



კულტურის სახლის შენობა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, წლების განმავლობაში საჭიროებდა სათანადო ყურადღებას.

მუნიციპალიტეტში შემუშავდა „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ ჩამოყალიბების პროექტი, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია კულტურის, სკოლისგარეშე და ხელოვნების სფეროში განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა ერთიან სივრცეში. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან პროექტი დაფინანსდა 800 000 ლარით. პროექტის პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და შენობა სრულად გადაიხურა, გამოიცვალა ელექტროსისტემა, ასევე სრულად გამაგრდა ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი კულტურის სახლის ფასადის ბარელიეფი, რომლის სამაგრი სისტემა კოროზიისგან მთლიანად იყო ამორტიზირებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი. რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შემდეგ ხობს განახლებული „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“ ექნება.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სახლში წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კულტურის სფეროში მუშაობა არ შეფერხებულა.



მნიშვნელოვნად არის აქცენტი გამახვილებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მასზე ზრუნვისკენ. გასული წლების მსგავსად, 2016 წელსაც ძეგლთა დაცვის მიმართულებით გაწეულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი სურათი წარმოადგინა: არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ნამარხები და არტეფაქტებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი.

ხობის მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტში–„ფოტო- მატიანე“ .

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის - „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში ხობს ცნობილი ქართველი მწერლები ეწვივნენ. მწერლებმა ლიტერატურის მოყვარულებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს და მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე ისაუბრეს.

12 აგვისტოს ტრადიციულად ჩატარდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“. დღესასწაულზე მაყურებლის წინაშე ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად, რეგიონის ფოლკლორული ანსამბლები, ანრი ჯოხაძე, დათო არჩვაძე, სოფო ბედია და „ქართული ხმები“ წარსდგნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების ისტორიის დადგენის მიზნით, სამეცნიერო დაწესებულებებში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, საპატრიარქოს არქივში მოპოვებული მასალები გამოყენებული იქნება ხობის მუნიციპალიტეტის შესახებ ბეჭდური გამოცემისთვის. მოგეხსენებათ, ხობის მონასტრისა და ჯეგეთის წმინდა გიორგის არქიტექტურული კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, სამსახურმა განახორციელა არაერთი სამუშაო შეხვედრა საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოსა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მეცნიერ-თანაშრომლებთან.

დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ხობის მონასტრის საკათალიკოსო სასახლის აღდგენა, რომლის არქეოლოგიური გათხრებისთვის აუცილებელი სამუშაოები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. აღსანიშნავია, რომ ხობის მონასტერში, საკათალიკოსო სასახლის აღდგენა-რესტავრაციის პარალელურად მიმდინარე არქეოლოგიურმა კვლევებმა დამატებითი ინფორმაციული ველი შექმნა, რაც მოითხოვს ასევე მეცნიერულ გააზრებას, გაწმენდითი სამუშაოების დროს სასახლის შიგნით ნაყარში ჩვენს მიერ ფიქსირებულიქნა სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტები. მოწვეულიქნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი და არქიტექტორ-რესტავრატორები თამარ ნემსაძე და რუსუდან გურამიშვილი. სასახლის დიდი დარბაზის პირველ სართულზე დაფიქსირდა სხვადასხვა პერიოდის 11 ქვევრი, ხოლო სასახლის ჩრდილოეთ ნაწილში დაფიქსირდა ადრექრისტიანული ხანის კიბეებიანი მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, რომელიც დგას წინარე ქრისტიანული პერიოდის კულტურულ ფენებზე.

ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა სპორტი.

ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე საამაყო და დასაფასებელია, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობაში ხობელ სპორტსმენებს არაერთი მსოფლიო, ევროპის, საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ ტურნირებზე მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მოპოვებული.



მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სპორტული ინფრასტრუქტურის და საწვრთნელი პირობების გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, მიმდინარეობს ხობის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდება და ხობელ გულშემატკივარს ბევრად კომფორტულ გარემოში მოუწევს გულშემატკივრობა.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთერთთანამშრომლობით შესაძლებელი გახდა, ხობში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობის სა-

>>>>>>>>>>>>>> 6

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

# მიზანი: ავამოქმედოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის

5

კითხის დადებითად გადაწყვეტა. ყოფილი კინოთეატრ „თუთარჩელას“ შენობაში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი აშენდება, სადაც განთავსდება სავარჯიშო დარბაზები, შეიქმნება საკონფერენციო სივრცეები, კინოდარბაზი, ბილიარდის, ჭადრაკის, სპორტის მრავალი სახეობისთვის სავარჯიშო ზონები. ხობი უმასპინძლებს რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებს.

სტადიონის და სპორტული კომპლექსის მშენებლობის მხარდამჭერი და ინიციატორი სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ლევან შონიაა, რისთვისაც ხობელების სახელით მსურს მადლობა გადავუხადო მას.

ასევე მნიშვნელოვანი სიახლეებია განათლების სფეროშიც.

2015 წლის მსგავსად, 2016 წელსაც, ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია წარმოადგენს. საბავშვო ბაღებში რადიკალურად შეიცვალა ათწლეულების განმავლობაში არსებული მძიმე მდგომარეობა. სტანდარტების შესაბამისად მოეწყო კვების ბლოკები, გარემონტდა საძინებელი ოთახები და სამზარეულო, გაფართოვდა სამეცადინო ოთახები, მოწესრიგდა სველი წერტილები, წყლით მომარაგება, გადაიხურა შენობები, გამოიცვალა კარფანჯრები, შემოიღობა ეზოები.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას და შესაძლებლობის ფარგლებში მათთვის სათანადო დახმარების გაწევას.

ამ კუთხით გამგეობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტის ერთიანი სოციალური დახმარების და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა 2016 წელს 419080 ლარით დამტკიცდა, აქედან სოციალური პაკეტი–389200 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი - 29880 ლარით. პროგრამებში ცვლილებების შეტანა გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილებების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც სოციალური პაკეტის მოცულობა გაიზარდა 40000 ლარით და საანგარიშო პერიოდისთვის 429200 ლარი შეადგინა, საოპერაციო თანხის გაზრდის ხარჯზე.



უმწეო კატეგორიაზე გახარჯული წყლის გადასახადი გაიცემა, სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული უმწეო ოჯახების სიების მიხედვით, სულზე დადგენილი ტარიფით, 1 სულზე 1,77 ლარის ოდენობით. პროგრამულად ყოველ ახალშობილზე გაიცემა 100 ლარი, ხოლო ყოველ მე-3 და შემდგომ ახალშობილზე–300 ლარი. დიალიზზე მყოფ ავადმყოფებს პირად ანგარიშზე ყოველთვიურად ერიცხებათ 100-100 ლარი.

ერთჯერად ფულადი დახმარებები, სტიქიით დაზარალებულთა და ხანძრის შედეგად დაზიანებულთა, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლების შეკეთებაზე, ავადმყოფთა საოპერაციო დახმარებებზე გაიცემა კომისიური განხილვის შედეგად საოქმო გადაწყვეტილებით.

2016 წელს სოციალური პაკეტიდან ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 55000 ლარი, 9 თვის განმავლობაში კომისიაში შემოსული იყო 980-მდე მოქალაქის განცხადება, რომელიც შესწავლილიქნა კომისიურად და 411 მთხოვნელზე გაიცა 40400 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარებებზე გამოყოფილი იყო 50000 ლარი, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაიზარდა 90000 ლარამდე. სულ, 9 თვის განმავლობაში საოპერაციო დახმარებაზე შემოსული იყო 228 ავადმყოფის განცხადება, კომისიური განხილვის შედეგად დაკმაყოფილდა 225 განცხადება და გაიცა 90850 ლარის საგარანტიო წერილი.

საანგარიშო წლის განმავლობაში ახალშობილთა დახმარებაზე პროგრამით გათვალისწინებული იყო 450 ახალშობილის დახმარება, თანხით 49 000 ლარი. 260 ახალშობილზე გადაირიცხა 35600 ლარი. აქედან პირველ და მეორე ბავშვზე 100 ლარი, ხოლო შემდგომ მე-3 და ზევით თითოეულზე–300 ლარი, ასეთი იყო 48 ახალშობილი.

პროგრამით გათვალისწინებულ მრავალშვილიანთა დახმარებაზე (4 და მეტი ბავშვი 18 წლამდე) სარვამარტოდ 68 ოჯახი დაფინანსდა 10200 ლარით.

უმწეოთა სასადილო ტენდერის გამოცხადების შედეგად დაფინანსდა 57000 ლარით, სადაც დღეში ერთხელ იკვებება 120-მდე უმწეო.

უმწეო კატეგორიის მოსახლეობისთვის პროგრამით გათვალისწინებული იყო წყლის საფასურის სუბსიდირება 6000 ლარის ოდენობით, რომელიც ყოველთვიურად ირიცხებოდა. 80 ოჯახზე ჩაირიცხა 5370 ლარი.

ეფექტური გამოდგა ახალი პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2015 წელს და ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დანგრეული სახლების სარეაბილიტაციო დახმარებას, ერთჯერადი თანხის გამოყოფის სახით. 9 თვეში დაფინანსებულია 30500 ლარი. კომისიის მიერ შესწავლილია 18 ოჯახი და მათგან დახმარება გაეწია 15 ოჯახს.

2016 წელს ამოქმედდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 0-დან 18 წლამდე ბავშვებისთვის სამედიცინო სარეაბილიტაციო პროგრამა, რისთვისაც გამოიყო 8000 ლარი. პროგრამით, მიმდინარე პერიოდისთვის ისარგებლა 5 ბავშვმა და გაიცა საგარანტიო წერილი 2184 ლარის თანადაფინანსებაზე.

დიალიზზე მყოფ 14 ავადმყოფზე ყოველთვიურად სატრანსპორტო ხარჯზე გამოიყო 18000 ლარი. 9 თვის განმავლობაში გადაირიცხა 12000 ლარი.

დევნილის და ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების დაფინანსებისთვის გამოიყო 5000 ლარი.

9 თვეში გარდაიცვალა 10 დევნილი, რომელთა დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 1000 ლარით.

გარდაიცვალა 6 ომის ვეტერანი, რომელთა დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 1500 ლარით.



აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებზე (სულ 15 ოჯახი) გაიცა ერთჯერადი თანხა სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 3000 ლარის ოდენობით–თითოეულ ოჯახზე 200-200 ლარი.

8 აგვისტოს ომში დაღუპულ ოჯახებზე (9 ოჯახი) გაიცა 1800 ლარი.

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 15 პირზე გაიცა 1500 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2234 კერძო სექტორში ცხოვრობს. მათ ერთჯერადი, საოპერაციო და სხვა პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები ეძლევათ, ისევე, როგორიც ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებებით ხორციელდება ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამა, რომელიც შემუშავდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პროგრამით სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ, მოსახლეობის რაოდენობით პატარა სოფლებს, საექიმო და ექიმამდელი დახმარება.

საქართველოში ხელისუფლება უპრეცედენტო პროექტს–C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას ახორციელებს, პროგრამაში ჩასართავად პაციენტების რეგისტრაცია 2015 წელს დაიწყო.

C ჰეპატიტით ინფიცირებულთა პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსებაზე წლის განმავლობაში გამოიყო 26350 ლარი. 9 თვეში 157 ინფიცირებულის თანადაფინანსებისთვის გაიცა 35200 ლარის საგარანტიო წერილი.

მუნიციპალიტეტში მუშაობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დელეგირებული უფლებამოსილებით, რომელიც ახდენს განსაკუთრებით საშიში ინფექციების დროულ გამოვლენასა და პროფილაქტიკას. მართვადი ინფექციების ეპიდ კონტროლს, იმუნიზაციის ჩატარების ორგანიზაციას და ეპიდ სიტუაციის სტაბილიზაციას, ატარებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე.

2015 წლის ბოლოდან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით ყველა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში შემოვიდა, ვაქცინა „ჰექსაქსიმი“, რომელიც ბავშვს დაიცავს 6 საშიში დაავადებისგან, ვაქცინა ძვირადღირებულია და დამზადებულია საფრანგეთში.

ჯანდაცვის თანამშრომლების და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დაუღალავი შრომის შედეგია ის, რომ დღეს არ გვხვდება ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს

7

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში

# მიზანი: ავამოქმედოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის

6 «««

მუნიციპალიტეტშიც ისეთი საშიში დაავადებები, როგორიცაა დიფტერია, ცოფი, ტეტანუსი, პოლიომიელიტი და ასე შემდეგ, რაც უდავოდ პროფილაქტიკური მედიცინის დამსახურებაა.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილების განხორციელების უფლება. მათ შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება. რომელსაც ახორციელებს წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციასა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

2016 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა 1999 წელს დაბადებულ იმ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომელთაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი.

გეგმიურად ხორციელდება წვევამდელთა გაწვევა სავალდებულო სამსახურში. სამსახურის საქმიანობა კოორდინირებულად ხორციელდება სახელმწიფო უწყებებთან ერთად და წარმატებული საქმიანობისთვის სამსახურს ოფიციალურად გამოეცხადა მადლობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საქმიანობის შიდა კონტროლის მიზნით გამგეობაში შექმნილია შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა და კანონიერება, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობის ხარჯვისა და გამოყენების კანონიერება, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდა.



შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ, 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 4 იურიდიულ პირში, და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 4 სტრუქტურულ ერთეულში. შემუშავებულია სათანადო წინადადებები თვითმმართველობის ორგანოთა ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე ანგარიშში დეტალურად გაანალიზდა გამგეობის იმ სამსახურების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ აისახება მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობაზე. რაც შეეხება შიდა სამსახურებრივ საქმიანობას და გამგეობის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მას ახორცილელებს ადმინისტრაციული სამსახური, სადაც აღირიცხება და ფიქსირდება გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მონაცემები თითოეულ მიმართულებაზე, მათ შორის, 2016 წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში ადმინისტრაციულ სამსახურში რეგისტრირებულია გამგეობის საქმიანობის პროცესში შექმნილი და მიღებული 10127 დოკუმენტი, რომელთა შორის 8757 შემოსული და გასული კორესპონდენციაა, ხოლო 1370 –გამგებლის სამართლებრივი აქტი–ბრძანება.

ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა გამგეობის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. სამსახურის მიერ, ან სამსახურის მონაწილეობით შექმნილია და საკრებულოს წარედგინა საკრებულოს დადგენილებების და განკარგულებების პროექტები. გარდა გამგეობის სამსახურების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფისა, ხშირი იყო მოქალაქეთა მომართვები. მათ ეძლეოდათ სათანადო განმარტებები და იურიდიული დახმარება.

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია და მიმდინარე წლის განმავლობაში ორ ეტაპად გამოცხადდა საჯარო კონკურსები გამგეობის მოხელეთა 21 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა დასანიშნად.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროგრამის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტი შერჩეულია საპილოტე მუნიციპალიტეტად, რომლის ფარგლებშიც 2015 წლის 12 ოქტომბრიდან გამგეობა გადავიდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე, ხოლო 2016 წლის მარტიდან–მუნიციპალური მართვის სისტემაზე. შედეგად, ადგილობრივ თვითმმართველობას საშუალება აქვს ახალი სერვისები შესთავაზოს მოსახლეობას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საზოგადოებასთან კომუნიკაციას, ასევე მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მომსახურების ხარისხს.

ალსანიშნავია ასევე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად ჩაერთო ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე სახელმწიფო პროექტში, მოსახლეობის საკუთრებაში, ან სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრირების მიმართულებით და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად მუნიციპალიტეტი დასახელებულია ერთ-ერთ მოწინავე მუნიციპალიტეტად, 5 მუნიციპალიტეტთან ერთად.

წინამდებარე ანგარიშით აშკარად ჩანს ის პოზიტიური შედეგები, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით არის მიღწეული და ასევე აშკარად იკვეთება მცდელობა შემდგომი ეტაპებისთვის უკეთესი შედეგების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად ყურადღება გამახვილდა პოზიტიურ შედეგებზე, ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, ვინაიდან საქმიანობის პროცესში ხშირია ასევე შეფერხებები და ნაკლოვანებები, რომელთა უმეტესობა ოპერატიულად გვარდება, თუმცა გარკვეული ნაწილი ანალიზს საჭიროებს სათანადო რეაგირების გზების შესამუშავებლად.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპეტენციების ფართო სპექტრი,



რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას უკვე იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის 2015 წლამდე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორიცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.

დამეთანხმებით, ამ ცვლილებებით ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა და საზოგადოებასთან ერთად მრავალ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მოუწევს გადაწყვეტილებების მიღება და ამ გადაწყვეტილებების აღსასრულებლად ახლებურად მუშაობა.

განხორციელებული თითოეული საქმე დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული, რომელშიც აქტიურად იყო და არის ჩართული საზოგადოების ფართო სპექტრი.

გაწეული საქმიანობისა და თანადგომისათვის მუნიციპალიტეტის სახელით მსურს მადლობა გამოვუცხადო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახურის თითოეულ მოსამსახურეს, გამგებლის თითოეულ წარმომადგენელს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთელს შემადგენლობას, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტის წევრებს ხობის მუნიციპალიტეტიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციას, ბიზნესმენს, მეწარმეს და თითოეულ რიგით მოქალაქეს.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიზნების განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო შევქმნათ.

***გმადლობთ ყურადღებისთვის!***

თვალსაზრისი

# სოფელი მზადაა სამომავლო გამოწვევებისთვის



„ქართულმა ოცნებამ“ დიდი ნაბიჯი გადადგა გამარჯვებისკენ, მითი–შესახებ იმისა, რომ „ნაცების“ უმთავრესი დასაყრდენი სამეგრელო იყო, დაიმსხვრა. რეგიონში „ქართული ოცნების“ შვიდივე კანდიდატმა პირწმინდად დაამარცხა მოწინააღმდეგე და მწამს ყველანი მთელი შემართებით და მაღალპროფესიონალურად შეუდგებიან მოღვაწეობას საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

ჩვენ, ხობელებს, ნამდვილად ღირსეული ახალგაზრდა გვეყოლება პარლამენტში, ირაკლი (დაჩი) ბერაია, რომელიც „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად ყველაფერს გააკეთებს. ჩვენი, ძალიან მაგარი, პრემიერის სიტყვების გასამართლებლად „განვითარების ისეთი დინამიკა უნდა შევქმნათ, რომ გავაფერადოთ და ავაგუგუნოთ ჩვენი ქვეყანა“–ამისთვის კი აუცილებლად მესახება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მთავრობა და ბიუროკრატიული აპარატი გარდავქმნათ ისე, რომ აბსოლუტურად მიმართული იყოს უფრო მეტად ორიენტირებული მოსახლეობის, საქმიანი ადამიანების საჭიროებებზე. ნიჭიერ, განათლებულ ადამიანებს უნდა გაუნთავისუფლდეთ გზა-სავალი. სწორედ ამ გზით აპირებს ქვეყნის მართვას დღევანდელი ხელისუფლება და ამიტომაცაა მომავლისკენ გათვლილი გრძელვადიანი განვითარების პროგრამა განსაკურებულად ღირებული და მოსაწონი.



ქვეყნის მასშტაბით უამრავი, როგორც სოციალური, ისე სხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ „ქართული ოცნების“ რეფრენადქცეული დევიზი: „სწრაფი განვითარება და აღმშენებლობა“ ნამდვილად სახეზეა.

ამდენი გზების, წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემის, ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია-რემონტები, ნაპირსამაგრი ჯებირები და ა.შ. ოცნებაშიც ვერ წარმოედგინა ჩვენს მოსახლეობას, მაგრამ ხელისუფლებამ ეს ნამდვილად შეძლო. რა თქმა უნდა, დაუღალავი შრომისა და ჯაფის ფასად.

ჩვენი მუნიციპალიტეტი და მასთან ერთად ჩვენი სოფელი, ამ არჩევნებს, რომ იტყვიან,-სავსე ბეღელით შეხვდა. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის მაგალითზე ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, ამის არდანახვა და არაღიარება უდიდესი უმადურება იქნებოდა.

პირველი გურიფულის მოსახლეობას წლების ნაოცნებარი აუხდა და დღეს სოფელი 24 საათიანი წყალმომარაგებით სარგებლობს. მეორე გურიფულში გაკეთდა ძვირადღირებული ნაპირსამაგრი, რითაც რამდენიმე ოჯახი გადასახლებას გადაურჩა. იგება და იმართება რამდენიმე მილიონად ღირებული ხობი–ახალსოფელის ბაქნის დამაკავშირებელი გზა. თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი წყალსაწრეტებითა და თითოეული ოჯახისთვის განკუთვნილი ბოგირებით. გასუფთავებული და შემოკავებულიქნა ორივე სოფლის სასაფლაოები. არაფერს ვამბობ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განხორციელებულ სხვა არაერთ პროექტზე. წყალსაწრეტი არხების გაწმენდით სამუშაოებზე, ხვნა–თესვის სახელმწიფო პროგრამასა და ერთჯერად დახმარებებზე. არც ვეტერინალური მიმართულებით წარმოებულ საპრევენციო საქმიანობაზე, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდება.

ჩვენი სოფლის მოსახლეობას ჩაუტარდა მაღალკვალიფიციური ოფთალმოლოგიური გამოკვლევა–კონსულტაციები., რომელიც მომავალში არაერთგზის განმეორდება. ასევე ჩვენს თემში მცხოვრებლებს C ჰეპატიტის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩაუტარდებათ უფასო გამოკვლევა.

ყოველივე ეს სიკეთე, რათქმა უნდა, ცენტრალური ხელისუფლების უშუალო ხელშეწყობითა და კეთილი ნებით განხორციელდა, მაგრამ რომ არა ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარის ბატონი ედიშერ ჯობავას და მაშინდელი საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის გურიფულის თემიდან ლაშა გვასალიას ძალისხმევა, ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ასე დროულად და მაღალხარისხიანად ვერ შესრულდებოდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავ ამ ადამიანებს და მჯერა მომავალშიც განსაკუთრებულად იზრუნებენ იმ სოფელზე, რომელმაც ორივე ტურში გამარჯვება მოუპოვა „ქართული ოცნებას“ და მის კანდიდატს.

ჩვენ გვაქვს ჩვენი ახალი დეპუტატის იმედი. უპირველესი სათხოვარი და საწუხილო გურიფულის მოსახლეობისთვის გახლავთ სოფელ პირველ გურიფულში მშენებარე ეკლესიის დაუსრულებლობა, რაშიც ვიმედოვნებთ ბატონი ირაკლი ბერაია თავის მოკრძალებულ წვლილს უთუოდ შეიტანს.

სხვამხრივ სოფელი მზადაა სამომავლო გამოწვევებისთვის და ყველაფერს გააკეთებს თავისი ღირსეული სიტყვის სათქმელად ყველა მიმართულებით.

გურიფული და გურიფულელები ყოველთვის გამორჩეული იყვნენ ღირსებებითა და თავმდაბლობით, სამშობლოსთვის თავგანწირული ადამიანების სიმრავლით, ქვეყნისადმი და მამულისადმი წრფელი იდენტური დამოკიდებულებით და მერმისიც ასეთივე ნათელიანობით იქნება გამორჩეული.

***ნანა გვასალია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში.***

ნომრიდან ნომრამდე

# ხობში ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს



სამეგრელო –ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა ლევან შონიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ ხობის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

„ფეხბურთელებს აქამდე ელემენტარული პირობები არ ჰქონდათ, არ არსებობდა მოსასვენებელი ფლიგელი, საშხაპეები, ადმინისტრაციის შენობა, მაყურებელს არ ჰქონდა ტრიბუნა და სკამი, მაგრამ ძალიან მალე ხობელ სპორტსმენებს ექნებათ კონმფორტული სტადიონი და ეს ძალიან მახარებს“–განაცხადა მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ მხარის გუბერნატორმა.



ქალაქ ხობში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით, ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში დამონტაჟდება 4000 ინდივიდუალური სკამი, აშენდება ახალი შენობა-ნაგებობა სპორტსმენთა და მწვრთნელთათვის, მოწესრიგდება წყლის მომარაგების, კანალიზაციის, ელექტროგაყვანილობის სისტემა. პროექტი ორ ეტაპად ხორციელდება და მისი ღირებულება ნახევარ მილიონ ლარამდეა. სამუშაოს, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ტოტალი“ ახორციელებს. ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მხარდაჭერით ხორციელდება.

სტადიონის სრული რეაბილიტაცია მომავალ წელს დასრულდება.

# ხობმა რაგბის ფესტივალს მეხუთედ უმასპინძლა



ხობის „კოლხეთის“ სათადარიგო მოედანზე გაიმართა დასავლეთ საქართველოს რაგბის ფესტივალი, რომელშიც 2004-2005 წლებში დაბადებული ნორჩი მორაგბეებით დაკომპლექტებული 12 გუნდი მონაწილეობდა. ფესტივალი, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტი მეხუთედ მასპინძლობს, მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, თამაშის წესების სწავლებას და ტექნიკურ-ტაქტიკური ელემენტების დახვეწას. ფესტივალზე გამარჯვებული გუნდი არ ვლინდება. სპორტული ფესტივალი განხორციელდა საქართველოს რაგბის კავშირის და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ ორგანიზებით.

# C ჰეპატიტის სკრინინგული კვლევები იწყება



31 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საექიმო ამბულატორიებისათვის C ჰეპატიტის სკრინინგული კვლევების შესახებ ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის შემდეგ, გადამზადებულმა სოფლის ექიმებმა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების სპეციალისტებთან ერთად მოსახლეობის სკრინინგული კვლევა C ჰეპატიტზე მარტივი ტესტირების მეთოდით ადგილზე ჩაატარეს. უახლოეს დღეებში ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში“ დაიწყება მოსახლეობის C ჰეპატიტზე გამოკვლევები.

## ინტერვიუ



ქალი–მებრძოლი, ქალი–დედა...–უთქვამს პოეტს, ყველა დადებით თვისებასთან ერთად ჩემს რესპოდენტს მარინე ლაგვილავას მოჭარბებულად გააჩნია მებრძოლი სული, ადამიანებთან კომუნიკაციის არაჩვეულებრივი უნარი. რაც მთავარია, არის კარგი დედა, რომელმაც ახალგაზრდობის წლებში ერთადერთი ვაჟი დაკარგა. ამ უდიდესმა ტკივილმა კი უფრო მებრძოლი, შემტევი და საქმის ერთგული გახადა, გააძლიერა და ბევრი რამ სხვა თვალით დაანახა. ჭირთათმენამ უფრო გამოაწრთო, საქმის კეთებით თრგუნავს თავის სატკივარს და სხვის ტკივილს, ჭირ-ვარამს უფრო სათუთად იზიარებს, სხვებზე ზრუნვა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია. დღეს მისი საზრუნავი ერთადერთი ქალიშვილი, ოჯახი და მისი სოფელია.

მას, როცა შესთავაზეს სოფლისთვის ეხელმძღვანელა, ძალა მოიკრიბა, და დღეს ერთგულებით, სოფლისთვის სიკეთის კეთებითაა დაკავებული. უნდა ყველა ბედნიერი იყოს, ხალხს ცხოვრება ცოტათი მაინც გაულამაზოს (შესაძლებლობის ფარგლებში).

პირველ მაისში მას ყველა იცნობს, მისი ყველანაირი თვისებებით უყვართ და პატივს სცემენ. მასაც სოფლის მცხოვრებთა მხარში დგომის ეიმედება.

...და ცხოვრობს მარინე ლაგვილავა სოფელში მეუღლესთან–ვაჟა ბუკიასთან ერთად, ერთადერთ ქალიშვილ ქეთიზე ამოსდის მზე და მთვარე და სოფლის ტკივილსა თუ სიხარულს მათთან ერთად იზიარებს.

დღევანდელი ნომრის სტუმარი მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი პირველ მაისში მარინე ლაგვილავა გახლავთ.

# „ყველა ჩანაფიქრისთვის ვიბრძოლებ“

***ქალბატონო მარინე, ხალხი რომ მადლიერი გყავთ ვიცი, მაგრამ გვესაუბრეთ იმაზე, რაც მათ ამჟამად აწუხებთ და თქვენც?***

–მე და ჩემს სოფელს მრავალი პრობლემური საკითხი გვაწუხებს. ჩემი ხელმძღვანელობის შემდეგ ვფიქრობ, ბევრი რამის გაკეთება შევძელი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ხალხი კმაყოფილი არასოდეს იქნება, ეს ადამიანის თვისებაა, რაც მეტი კეთდება, კიდევ უფრო მეტი გვინდა, არადა სოფელში პრობლემები მართლაც ბევრია, მაგრამ ერთმანეთის გვერდით დგომითა და მონდომებით ვფიქრობ და მჯერა, პრობლემებიც მოგვარებადია. მე ჩემი სოფლის კეთილდღეობისთვის ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ.

***ის, რაც გაკეთდა პირველ მაისში იანვრიდან დღემდე?..***

–„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში სოფელ პირველ მაისში სტანდარტების მიხედვით სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ლევან გოთუას ქუჩის 2 კილომეტრიანი გზის მონაკვეთს. ასეთივე სტანდარტებით გარემონტდა თამარ მეფის ქუჩის 2 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი. ბულიწყუს უბანში ამოიწმინდა ღელე და ამოღებული მასით სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა (ორმული შეკეთება) ჭავჭავაძის ქუჩას. მთლიანად გარემონტდა საკრებულოს შენობის მეორე სართული, სადაც სოფლის ბიბლიოთეკა და საკონფერენციო დარბაზი განთავსდება. სამკითხველო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. სოფელში ასევე მიმდინარეობს საპრივატიზაციო ფართობებში სამელიორაციო სამუშაოები. იწმინდება შემკრები არხები 200 ჰექტარზე (საჩოკორაიოსა და საპერტიოს უბანი). სამუშაოები მიმდინარეობს გია ჯიბლაძის ხელმძღვანელობით.

***დიდია თქვენი როლი სოფლის ცხოვრებაში. ამჟამად როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

–პასუხისმგებლობა და სოფლის ცხოვრებაში ჩემი როლი მართლაც დიდია. ვცდილობ, ხალხთან ახლოს ვიყო და მათთვის ვიზრუნო. ამაზე ალბათ ხალხიც დამემოწმება, მაგრამ ჩემს როლს დადებითად მაშინ შევაფასებ და საზოგადოების სიყვარულს მაშინ დავიმსახურებ, თუ დაგეგმილ პროექტებს 2017 წლის ბოლომდე განვახორციელებთ. პროექტები მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდიდან უნდა განხორციელდეს. ესენია: სოფლის მაგისტრალური წყალსადენის დაქსელვა. პროექტი უკვე გაკეთებულია. მადლობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს, რომ გამონახეს ამ პროექტის განსახორციელებლად თანხები. ინფორმირებული ვართ, რომ პროექტი მომავალ წელს განხორციელდება, ასევე დაიგეგმა ბესიკის ქუჩის 2 კილომეტრიანი მონაკვეთის ბეტონის საფარით დაფარვა, სანიაღვრეებითა და მილ-ხიდებით. მასზე იზრუნა და დააფინანსა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. ეს პროექტი 2017 წლის მეორე კვარტალში დაიწყება. კეთდება პროექტი ლევან გოთუას ქუჩის 4 კილომეტრიანი გზის ბეტონის საფარით დაფარვისთვის. რომელიც ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი და ასევე, სამხედრო დანიშნულების გზაა. ამ სამუშაოებს მსოფლიო ბანკი დააფინანსებს და პრემიერის კონტროლზეა აყვანილი. ასევე მოხდება სოფელში არსებული საეკლესიო კომპლექსამდე მისასვლელი გზის–150 მეტრიანი მონაკვეთის ბეტონის საფარით დაფარვა., ვინაიდან ეს აღმართი წვიმის გამო ყოველთვის ჩამოირეცხება ხოლმე და ასვლა ავტომანქანით შეუძლებელი ხდება. ასე, რომ დიდი და მნიშვნელოვანი პროექტებია დაგეგმილი ჩვენი სოფლისთვის. იმედია, ყველაფერი დროულად, ხარისხიანად შესრულდება და საზოგადოების წინაშე პირნათელი წარვსდგებით.

***ქალბატონო მარინა, ყველაზე მეტად რას გეუბნებათ ხალხი?***

–კითხვები უამრავია, გულსატკენიც. საზოგადოებაში ბევრი ყოფითი პრობლემაა, მათ შორისაა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე სოციალური დახმარების მოხსნა, რამაც ცუდად იმოქმედა ასეთ ოჯახებზე. ბევრს შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ, ვუშუამდგომლეთ შესაბამის სტრუქტურებთან, რამდენიმე მათგანს აღუდგინეს დახმარება. რამდენიმე ოჯახს ხობის მუნიციპალიტეტმა გაუწია დახმარება, ციცინო აბულაძის დახმარების თანხამ შეადგინა 2500 ლარი, რათა მოეწყო საცხოვრებელი სახლი, წლის ბოლოსთვის დახმარება გაეწევა ლუარა ნაჭყებიას ოჯახს, მას ჩაერიცხება 3000 ლარი. ვინაიდან მას ძალზე ცუდი საცხოვრებელი პირობები აქვს. ვიმედოვნებ, ბევრს, ვისაც ეკუთვნის, მათთვის შევძლებთ სტატუსის დაბრუნებას.

სოფლის მოსახლეობისთვის უდიდესი შეღავათი იქნება გაზიფიცირება, რაც იგეგმება. ამით ტყესაც ეშველება და მოსახლეობასაც. ტყის შენარჩუნება აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

***შენიშვნა, რომელიც მიგიღიათ?***

–შენიშვნა ხალხიდან მოდის უპირველესად. მოთხოვნები ბევრია. ყველას ერთბაშად ვერ მოვაგვარებთ. ყველაფერს ეკონომიკა წყვეტს. ტყუილი შეპირება არ მიყვარს. ვცდილობ, მოთხოვნები ეტაპობრივად შესაბამისობაში განხორციელდეს.

ახლა ჩემს სოფელში მიმდინარეობს წყლის მაგისტრალური დაქსელვა. ამჟამად წყალს 17 ოჯახი მიიღებს. ძალიან მოვინდომე და საქმე მაინც ჯანჯლდება, ვნერვიულობ, რომ უკმაყოფილო ადამიანებს ვხედავ.

***როგორი იყო საარჩევნო სამზადისი და არჩევნების შედეგები, შთაბეჭდილებები?***

–საპარლამენტო არჩევნებში სოფელმა თავისი სიტყვა თქვა. საპასუხისმგებლო მისია წარმატებით დასრულდა. ავირჩიეთ ღირსეული პარტია–„ქართული ოცნება“ და მისი წარმომადგენელი ირაკლი (დაჩი) ბერაია. მინდა წარმატებები ვუსურვო მას. ხალხს ეგრძნოს მისი მაჟორიტარობის ძალა.

„ქართულ ოცნებას“ ბედნიერება, სიხარული, გაერთიანება მოეტანოს ჩვენი ქვეყნისთვის.

***რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით სოფელში?***

–რას შევცვლიდი სოფელში? სოფლის ცენტრის გალამაზებაა ჩემი სურვილი... ისეთი ახალგაზრდული ცენტრი მინდა გაიხსნას, სადაც თითოეულ ახალგაზრდას ეხალისებოდეს ყოფნა. გავხსნიდი სპორტულ, მხატვრულ, მუსიკალურ და ა.შ. წრეებს, სადაც ახალგაზრდებს ჩართვა და თავისუფალი დროის მართებულად გატარება შეეძლებათ.

***რას უსურვებდით თანასოფლელებს?***

–ჩემს თანასოფლელებს ვეტყვი, რომ მე მათ გვერდით ვარ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთდ ვიბრძოლებ დაწყებული პროექტების განხორციელებისთვის, ახალ-ახალი გამოწვევებისთვის და ვეცდები ყველა საქმე ბოლომდე მივიყვანო.

**ესაუბრა**
**ნანი კილასონია.**

# ნომრიდან ნომრამდე

## ტრენინგი იმუნიზაციის მართვის წესების შესახებ



3 ნოემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ხობის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებების პერსონალისთვის, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრისა და იმუნიზაციის მართვის წესების შესახებ ტრენინგი ჩაატარა.

შეხვედრაზე, ყურადღება გამახვილდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის 01-57/ნ ბრძანების („პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარის და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“) შესრულებაზე.

ტრენინგს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ და ჯანდაცვის პირველადი რგოლების სამედიცინო პერსონალი ესწრებოდა.

## სამ საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოები დასრულდა

7 ნოემბერს, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ სამ სტრუქტურულ ერთეულში (ჭალადიდის, შავღელეს და ზუბის საბავშვო ბაღები) სასწავლო პროცესი დაიწყო. შავღელეს ბაღში გაფართოვდა სამედიცინო ოთახი; ჭალადიდის ბაღში მოწესრიგდა წყლის სისტემა, სამზარეულო და სურსათის შესანახი ოთახი; ზუბის საბავშვო ბაღში შეკეთდა სამზარეულო, სამეცადინო და საძინებელი ოთახები. საბავშვო ბაღებში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

## საბავშვო ბაღებს ელექტრო ტექნიკა გადაეცა




ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ მიერ, საბავშვო ბაღებისათვის შესყიდულ იქნა 21 600 ლარის ღირებულების ელ.ტექნიკა. შესყიდული საქონელი (გაზქურები, სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები, ელექტრო ხორცსაკეპი მანქანები) 29 საბავშვო ბაღზე გადანაწილდა.



ხობი პატარა ქალაქია. ამ ქალაქში ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. ბავშვობაში კარგად მახსოვს თეთრხალათიანი, სასიამოვნო შესახედაობის, კისერზე მუდამ ფონენდოსკოპგადაკიდებული ექიმი, ბავშვების დიდი მოსიყვარულე რუბენ ბახია, როცა მასთან ვიზიტზე დედას მივყავდი, სულ მსურდა, მეც ექიმი გამხდარიყავი და მხოლოდ პედიატრი, მიზეზთა გამო ოცნება ვერ ავისრულე, მაგრამ დიდ სიყვარულს ექიმების მიმართ დღემდე განვიცდი. სულ სხვა მოწიწება მაქვს მათდამი.

რესპოდენტი, რომელიც დღეს მსურს წარმოგიდგინოთ, გახლავთ ყველასთვის კარგად ნაცნობი ქალბატონი, ექიმი–პედიატრი ნანა ადანაია, სასიამოვნოდ მოსაუბრე, მუდამ ღიმილიანი. ქალბატონ ნანას ყოველ დღე ვხვდები როგორც სკოლის ექიმს, თავის სამუშაო კაბინეტში მუდამ მოფუსფუსეს, ბავშვებზე მზრუნველს, ჩვენც მშობლები, მშვიდად ვართ, რადგან სკოლაში გამოცდილი ექიმი გვეგულება...

45 წელია, რაც ქალბატონი ნანა თავის პროფესიულ მოვალეობას პირნათლად ემსახურება. მის ხელში მრავალმა თაობამ გამოიარა. არ არის იოლი საქმე, იყო ექიმი, ნეონატოლოგობა(მიკრო პედიატრი) ორმაგად საპასუხისმგებლოა, რამეთუ შენს ხელში ახალი სიცოცხლე იბადება და დედასთან ერთად თანაზიარი ხდები დიდი სიხარულის, ბედნიერების. სამუშაო წლები საკმაოდ რთულია, დამღლელი, თეთრად გათენებული ღამეები პაციენტის სასთუმალთან, მაგრამ მეტადრე საინტერესო.

# „ჩემი არჩევანი ღვთითბოძებული მადლია..."

***ქალბატონო ნანა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხობელებისთვის ცნობადი სახე ბრძანდებით, მაგრამ მაინც არ მინდა ტრადიციას ვუღალატო, გაეცანით მკითხველს.***

–პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ დაინტერესდით ჩემით. რაც შემეხება მე, დავიბადე და გავიზარდე ქ. სენაკში, სადაც 1963 წ. დავამთავრე რკინიგზის №2 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. 1964 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. სტუდენტობის წლები ყველა ადამიანის ცხოვრებაში კარგად მოსაგონარი წლებია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობა დავიწყე ხობის რაიონულ საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში ექიმ-პედიატრად, ხოლო 1982 წლიდან ექიმ-ნეონატოლოგად.



მერი რეკვავასთან და გოგუცა თოფურიასთან ერთად

***პროფესია, ვიტყოდი მეტად რთული... რამ გადაგაწყვეტინათ გამხდარიყავით ნეონატოლოგი?***

–გეთანხმებით, რთული პროფესიაა. ბავშობიდან მიზიდავდა ექიმის კეთილშობილური საქმიანობა. მიუხედავად ექიმის ცხოვრებისეული არასტანდარტული რეჟიმისა, რთული და დამღლელი სამუშაო წლებისა, ვფიქრობ, მეტადრე საინტერესო იყო. ხელახლა რომ ვიწყებდე ყველაფერს ისევ ამ გზას ავირჩევდი.

***როგორ გაიხსენებდით მუშაობის წლებს?***

–45 წელია ვმუშაობ ჩემი პროფესიით. ვფიქრობ საკმაოდ ნაყოფიერი იყო ჩემი მუშაობის წლები. თითოეული ბავშვის დაბადება მახსოვს, თითოეული ახალი სიცოცხლის დაბადება ჩემთვის დიდი სიხარული იყო, ერთნაირად გვიხაროდა დედასაც და მეც. ვამაყობ, რომ მქონდა პროფესიული ურთიერთობა ხობის სახელოვან ექიმებთან, სახელოვან პედეატრებთან როგორებიც იყვნენ ქალბატონი გოგუცა თოფურია და ბატონი რუბენ ბახია.

***თუ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სხვა ამპლუაში, პროფესიას ვგულისხმობ.***

–ლტოლვა სიკეთის კეთებისკენ, გასაჭირში მყოფის დახმარება და თანადგომა ჩემი ცხოვრების თანმდევი თვისებაა, ამიტომ ჩემი არჩევანი ღვთითბოძებული მადლია, რის გამოც სხვა არჩევანი არც წარმომიდგენია.

***რას აფასებთ ადამიანში?***

–პირველ რიგში, ადამიანობას, ერთგულებას, კეთილსინდისიერებას და უანგარო სიყვარულს ვაფასებ.

***ქალბატონო ნანა, რას მეტყოდით ოჯახზე?***

–ჩემი ოჯახი ჩემი სიმდიდრეა... მეუღლე ლადო პაჭკორია პროფესიით მეღვინე-ტექნოლოგია. ორი ვაჟიშვილი: აკაკი (კახი) პაჭკორია და ვილი პაჭკორია ქირურგები არიან. ორივე მედიცინის დოქტორია, ამავე დროს მეორადი პროფესიით იურისტები არიან. რძალი–მაკა ჩუბინიძე პროფესიით ექიმი-სტომატოლოგია. მყავს უსაყვარლესი და სანატრელი შვილიშვილი–ანა პაჭკორია.

***ხობის №1 საჯარო სკოლის ექიმი ბრძანდებით, პირადად ჩემთვის სკოლაში ექიმის კაბინეტის არსებობა მისასალმებელია, რა კრიტერიუმით მოხდა თქვენი შერჩევა?***

–სკოლებში ექიმის კაბინეტის არსებობა, აუცილებელია ბავშვთა დაავადებათა დროული პრევენციისა და პროფილაქტიკისთვის. რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, არჩეული ვარ საჯაროდ გამოცხადებული კონკურსის წესით.

***ხართ თუ არა აღჭურვილი სათანადო ინვენტარით?***

–სკოლის ექიმის კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი სათანადო ინვენტარით და მედიკამენტებით, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის სკოლის დირექტორს ქ-ნ ქეთინო გაბისონიას.

***დაიწყო ვირუსული ინფექციების სეზონი, რას ურჩევდით მკითხველს, როგორ დავიცვათ თავი?***

–უპირველეს ყოვლისა დავიცვათ პირადი ჰიგიენა, ხშირად დავიბანოთ ხელები, მოვერიდოთ ახლო კონტაქტს ვირუსით დასნებოვნებულებთან, აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიყენოთ ერთჯერადი ნიღაბი, ხშირად გავანიავოთ ოთახი, ეფექტურია პროფილაქტიკის მიზნით ნესტოებთან შევიზილოთ „ოქსოლინის" მალამო და მივიღოთ დიდი რაოდენობით სითხე, სასურველია ლიმონიანი ჩაი ან „ც" ვიტამინით გაჯერებული ხილის ნატურალური წვენები.

***ქალბატონო ნანა, რას ეტყოდით საზოგადოებას, ხობელებს...***

–მინდა ვუსურვო თითოეული ხობელის ოჯახს ჯანმრთელობა, სიმრავლე, სიუხვე და სულის სიმრთელე. გვიყვარდეს ერთმანეთი და სათანადოდ დავაფასოთ თითოეული ხობელი, მისი შემოქმედება და მიღწევები.

უფალო, შენ დალოცე ყველა ხობელის ოჯახი!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

***მადლობას გიხდით გულთბილი მიღებისთვის.***

ერთი სკოლის ბეჭედი

# სკოლა ჩემთვის ყველაფერია



***ერთ-ერთი სიკეთე, რაც ამ დუხჭირ დროში გაგვაჩნია, ეს არის სიტყვის თავისუფლება და მისი გამოხატვის საშუალება. გაზეთი, გარდა იმისა, რომ წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის ავ-კარგს, უფლებას გვიტოვებს, ორიოდე თბილი სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს, მოვეფეროთ და მოვესიყვარულოთ ისეთ ადამიანებს, რომელთა შრომა მხოლოდ კადრს მიღმაა დარჩენილი. ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარი, პირველკლასელი მოსწავლეებისთვის, და არა მარტო მათთვის, საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება ქალბატონი ლუარა დოლბაია გახლავთ.***

მოკრძალებული, თბილი და გულკეთილი, ასეთი გავიცანი მე ჯერ კიდევ პატარამ ჩემი რესპოდენტი. მე მას ვიცნობ, როგორც მეგობარს, მზრუნველ დედას, მოსიყვარულე ბებიას. მის სამუშაო ოთახში მუდამ ბავშვთა სიმრავლეა, ისიც დაუზარებლად ემსახურება მათ. სასწავლო წელი ესესაა დაიწყო, ზოგი სასკოლო წიგნებს ითხოვს, ზოგი კლასგარეშე ლიტერატურას. ერთ-ერთი ასეთი მხიარული „აურზაურის" მოწმე გავხდი, საერთოდ ხშირად ვსტუმრობ ამ ოთახს, ეს ალბათ ბავშვობიდან გამომყვა. ისე დავეკითხე, რამდენი წელია რაც სკოლაში მუშაობ მეთქი? ოცდათექვსმეტიო–მიპასუხა. და ჩაფიქრდა... ვუყურებდი და ვგრძნობდი წარსულმა წლებმა მის თვალწინ როგორ ჩაიქროლეს, ალბათ გაიხსენა მისი პირველი ნაბიჯები სკოლაში, მასწავლებელთა ძველი პლიადა, პირველი ჩატარებული გაკვეთილი, ყოფილი მოსწავლეები. მაშინ პირველ სკოლაში მოხვედრა არც თუ ისე იოლი საქმე იყო, სხვა კრიტერიუმებით იზომებოდა ახალი კადრი. სკოლასაც განსხვავებული კანონები და დოგმები ჰქონდა, დღევანდელი გადასახედიდან იქნებ ზომაზე მკაცრებიც იყვნენ, მაგრამ ვფიქრობ, სკოლა ეს ისეთი დაწესებულებაა, სადაც დოგმები, თუნდაც ზომიერი სიმკაცრე, საჭიროა.

ლუარა დოლბაია 1953 წელს სენაკში დაიბადა, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისში საფინანსო ტექნიკუმში გააგრძელა, წარჩინებით დაამთავრა. 1972 წელს დაოჯახდა ხობელებისთვის კარგად ნაცნობ პიროვნებაზე, კეთილშობილ ადამიანზე მერაბ დოლბაიაზე, რომელთანაც საუკეთესო წლები განვლო. ხობის №1 საჯარო სკოლაში 26 წლისამ შედგა ფეხი, იმჟამად სკოლის დირექტორი მრავალი თაობების აღმზრდელი, მკაცრი და სამართლიანი, ამავე დროს თავისი კოლეგებისთვის და კოლექტივზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი ალექსანდრა (საშა) ბერაია გახლდათ. როგორც ქალბატონმა ლუარამ მიამბო, „ძალიან ვღელავდი დირექტორის მოლოდინში, ბევრი მქონდა გაგონილი მის შესახებ, ჯერ კიდევ გამოუცდელს მეტად საპასუხისმგებლო მისია უნდა მეკისრა, მასწავლებლობა, მართალია შრომითი სწავლებას ვასწავლიდი, მაგრამ მაშინ ყველაფერს სათანადო შეფასება ქონდა... გულთბილად მიმიღო, დამარიგა და მითხრა: „ჩათვალე, რომ შენ ფეხი უნივერსიტეტში შემოდგიო". შემდეგ უკვე, როცა გავიარე საკვალიფიკაციო კურსები მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, გავხდი ბიბლიოთეკარი, შემეძლო სხვა სამსახურებში მემუშავა, ამის შესაძლებლობაც მქონდა, მაგრამ ბავშვების სიყვარულმა, ჩემმა სკოლამ და საზოგადოებრივმა დამოკიდებულებამ განათლებისადმი, სკოლაში გადამაწყვეტინა დარჩენა. დღეს კი ხობის №1 საჯარო სკოლა ჩემთვის ყველაფერია, ჩემი ოჯახია, აქ ჩემი საუკეთესო მეგობრებია. ხელახლა, რომ ვიწყებდე ცხოვრებას, ისევ ამ გზას გავივლიდი, სადაც ოცდათექვსმეტი საუკეთესო წელი გავატარე. ვამაყობ, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება დიდებული და რესპუბლიკაში აღიარებული მასწავლებლების გვერდით ვიცხოვრე.

▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪

***თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, ახალ თაობას უყვარს წიგნების კითხვა?***

–დღევანდელი სკოლა სულ სხვანაირია, ათეული წლის წინ მოსწავლეები განსაკუთრებით მოტივირებულნი, ნაკითხი, თავაზიანი და ყურადღებიანები იყვნენ, რაც შეეხება ახალ თაობას, ვიცი, რომ ძალიან ნიჭიერები, მიზანდასახულები და გამბედავები არიან, უყვართ კომპიუტერული ტექნიკა, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახალ თაობას წიგნების კითხვაც უყვარს, განსხვავება ვფიქრობ, სწავლების ტექნიკაშია, თორემ შედეგს ძველი თაობაც აღწევდა და ახალიც აღწევს.

***დღეის მდგომარეობით როგორია თქვენი ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი?***

–სკოლას ძველი და მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. ჩვენთან ძნელად მოსაძიებელ წიგნებსაც შეხვდებით. ყოველწლიურად ვახალისებთ ფონდს. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლიდან გაუსვლელად ჩვენთან მოიძიონ სათანადო ლიტერატურა. ვცდილობთ, მოსწავლეებს ჩვენგან ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდეთ.

***ქალბატონო ლუარა, ოჯახი ქალისთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, რას გვეტყოდით თქვენს ოჯახზე?***

–ოჯახი ერთი მთლიანობაა, პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია. ოჯახი დაფუძნებულია სიყვარულზე და პასუხისმგებლობაზე, მათი საწინდარი კი სულიერებაა, რაც წარმოშობს სიყვარულს, ზრდის და იცავს მას.

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, მეუღლე აწ განსვენებული მერაბ დოლბაია განათლებული, კეთილი და მოსიყვარულე პიროვნება გახლდათ, ოჯახი მისთვის უმთავრესი იყო, იყო მზრუნველი და მოსიყვარულე მამა და ბაბუა, სამწუხაროდ, ადრე დატოვა წუთისოფელი და მოუშუშებელი ტკივილი დამიტოვა... მყავს შვილები გიორგი და დარეჯანი, შვილიშვილები: ნინო, იმედი, მერაბი და მარიამი, რძალი ნანა სალაყაია, სიძე სოსო ლატარია. ასე, რომ ამ მხრივ მდიდარი და ბედნიერი ვარ. ჩემი შვილებით, შვილიშვილებით, მათი სიყვარულით ვტკბები და ვხარობ.

***ნინო გერგაია***

# ფეხბურთი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურმა ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა პირველობა 15 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, ხობის „კოლხეთის“, სენაკის „ეგრისის“, მარტვილის „ბერმუხას“, წალენჯიხის „სკურის“, ზუგდიდის „ბაიას“, ბათუმის „დინამოს“ და ჩხოროწყუს „ლესიჭინეს“ ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც ერთ წრედ შეხვდნენ ერთმანეთს.

ამ შეჯიბრზე წარმატებით იასპარეზა ხობის „კოლხეთის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა. მათ ჩატარებული 6 მატჩიდან, 5 მოიგეს, ფრედ მხოლოდ 1 მატჩი ითამაშეს და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

გუნდის ღირსებას იცავდნენ ნუკრი ქობალია, გიორგი მირზოევი, გოგი თოდუა, იური ახალაია, მათე მიქაძე, ამირან ხელაია, გოგა მირზოევი, ლუკა ქვარცხავა, ცოტნე ქარცხია, ნიკა გვასალია, ნიკა ფაჩულია, დემეტრე ჭითაშვილი, მწვრთნელები ლევან ქაშიბაძე, მერაბ ხარბედია.

წარმატებები ვუსურვოთ ხობელ ჭაბუკებს მომავალ შეჯიბრებებზე.

* * *

ოქტომბრის თვეში ქ. ხობში ჩატარდა შეჯიბრება მოყვარულ ფეხბურთელთა შორის „საქართველოს თასი 2016“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია, საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა. შეჯიბრებაში ჩვენი მუნიციპალიტეტის 12 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ოლიმპიური სისტემით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ერთკვირიანი ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ფინალისტები:



„საქართველოს თასი 2016“,

ფინალში ხობის ცენტრის ფეხბურთელთა გუნდმა დაამარცხა გურიფულის ფეხბურთელთა გუნდი და პირველი ადგილი დაიკავა, პირველ ადგილზე გასული ხობის გუნდი 16 ნოემბერს ჩაერთვება რეგიონალურ პირველობაში, სადაც შეხვდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჩემპიონს, მატჩი შედგება ქ. მარტვილში.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილე ყველა გუნდს საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებმა საჩუქრად გადასცეს ბურთები, ნორჩ ფეხბურთელებს კი სპორტული ფორმები (გადასაცმელები).

წარმატებები ვუსურვოთ ხობელ ფეხბურთელებს რეგიონალურ ასპარეზობებზე.

* * *

ქარიატაში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის, ლევან ჭოჭუას სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში 6 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ასპარეზობდნენ 2 ჯგუფში, ჯგუფებიდან პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები აგრძელებდნენ ასპარეზობას ნახევარფინალში, დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ პრიზიორები და ლევან ჭოჭუას სახელობის თასის მფლობელები.



ლევან ჭოჭუას სახელობის თასის გათამაშება

მესამე ადგილი დაიკავა შუა ხორგის ფეხბურთელთა გუნდმა, რომელსაც გადაეცა მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

მეორე ადგილი დაიკავა ქარიატის ფეხბურთელთა გუნდმა, მათ გადაეცათ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ლევან ჭოჭუას სახელობის თასის ღირსეული გამარჯვებული გახდა ხობის ფეხბურთელთა გუნდი, რომელთაც გადაეცათ ლევან ჭოჭუას სახელობის თასი და სიგელი.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში:

საუკეთესო მეკარე გახდა–ბაჩანა ბერაია (ქარიატა)

საუკეთესო მცველი–ერეკლე შენგელია (შ/ხორგა)

საუკეთესო ნახევარმცველი–ლევან ქაშიბაძე (ხობი)

საუკეთესო თავდამსხმელი–გოჩა კაცაძე (ხობი)

საუკეთესო ბომბარდირი–მერაბ ხარბედია (ხობი)

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი–გიორგი თელია (ქარიატა).

პრიზიორები და საუკეთესო ნომინანტები დააჯილდოეს ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა როზეტა შულაიამ და სხვებმა.

დაჯილდოების დროს ტურნირის მონაწილეებმა ორგანიზატორებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ლევან ჭოჭუას ხსოვნას.

* * *

ხობში ნოდარ შენგელიას სახელობის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში წარმოება დაწესებულებებს შორის, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სოფელ ხურჩაში დაღუპული პოლიციელის რამაზ კიტიას ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას.

A ჯგუფში ასპარეზობდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის, „ლიბერთი ბანკის“, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისა“ და შ/ს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველოს გუნდები.

B ჯგუფში გამოდიოდნენ „კრისტალ ბანკის“, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, შ.პ.ს. „ჯიპიერის“, და საგანმანათლებლო რესურსცენტრის გუნდები.



რამაზ კიტიას სახელობის ტურნირი

დაძაბული მატჩების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულნი და პრიზიორები, ფინალური შეხვედრები გაიმართა ახალხიბულაში, რამაზ კიტიას სახელობის სტადიონზე.

მესამე ადგილი დაიკავა სახანძრო-სამაშველო სამსახურის გუნდმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით.

მეორე ადგილი დაიკავა საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ადმინისტრაციის გუნდმა, რომელიც ასევე დაჯილდოვდა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით.

რამაზ კიტიას სახელობის თასი გადაეცა შპს „ჯიპიერის“ გუნდს. აღსანიშნავია რომ ამ გუნდმა ზედიზედ მეორედ მოიგო ეს ტურნირი.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში.

საუკეთესო მეკარე გახდა–გოგა ლეფსაია („ჯიპიერი“)

საუკეთესო მცველი–ლევან ხურცილავა ( „კოლხეთი“)

საუკეთესო ნახევარ მცველი–ნიკოლოზ ბერაია (სახანძრო)

საუკეთესო თავდამსხმელი–მერაბი ხარბედია („კოლხეთი“)

საუკეთესო ბომბარდირი–ირაკლი მიქავა („ჯიპიერი“)

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი–ლექსო ლეფსაია („ჯიპიერი“)

დაჯილდოების ღონისძიებას უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილე ბატონი მახარე ჩოკორაია, შსს ხობის პოლიციის სამმართველოს უფროსი ბატონი ივანე შენგელია. გამგებლის წარმომადგენელი ქ. ხობში ბატონი იური ჯობავა, გამგებლის წარმომადგენელი ახალ ხიბულაში ბატონი რინელ ადამია, რამაზ კიტიას და ეკა კიტია და რამაზის შვილები.

დაჯილდოებისას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს რამაზ კიტიას ხსოვნას, დაჯილდოების შემდეგ კი ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი.

***ლევან ლემონჯავა.***

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ნინო, ნანა და მანანა კემულარიებს დედის, პედაგოგ

**ლეილა იოსავა–კემულარიას**

გარდაცვალების გამო.

მერი აბრამია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი პარტიული და სამეურნეო მუშაკის

**ოთარ კობახიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის შვილებსა და ახლობლებს.

# „ფარმაციის“ ერთგული „დიასახლისი“



ხობში აფთიაქების სიხალვათე ნამდვილად არ იგრძნობა. მათ შორის არის აფთიაქი „ფარმაცია“, რომლის ერთგული დიასახლისი მარინე წულაია გახლავთ.

ქალბატონმა მარინემ დაამთავრა ქ. თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელი პროვიზორის სპეციალობით და 1978 წლიდან მოყოლებული დღემდე ემსახურება ფარმაცევტის მეტად საჭირო და აუცილებელ პროფესიას.

„ფარმაცია“ ერთ-ერთი წარმატებული აფთიაქია ჩვენს მუნიციპალიტეტში მომსახურების მაღალი დონით, კულტურით და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმით, აქ მუდამ ხალხმრავლობაა ეს უპირველესად ფარმაცევტის დამსახურებაა.

ქალბატონი მარინე წლებია დიდი ყურადღებით, მზრუნველობით, საქმისადმი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ექიმის მიერ დანიშნული წამლის მიღებაზე საჭირო დარიგებებს აძლევს მომხმარებელს. რამდენი გაჭირვებული ადამიანისთვის გაუწვდია დახმარების ხელი და თუნდაც რამდენიმე საათით ან დღით თავისივე თანხით გაუცია წამლები. მასზე უზომოდ მადლიერ ადამიანს ბევრს შეხვდებით. იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს უყვარდე და ეიმედებოდე ყველას, ვისთვისაც თითქმის მთელი დღის განმავლობაში შრომობ, ემსახურები. მხიბლავს მასში სათნოება, კეთილშობილება და ადამიანებისადმი საოცარი თბილი დამოკიდებულება.

ნათქვამია „გველს ხვრელიდან ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“ სწორედ ასეთი ენაწყლიანია მარინე წულაია.

ღირსეულ, ტრადიციულ და ცნობილ ოჯახში დაიბადა ქალბატონი მარინე. დედა, ქალბატონი თამარ თოდუა დამსახურებული მასწავლებელი გახლდათ. მამა დურუ წულაია ცნობილი ბუღალტერი. ისინი განსაკუთრებულად კეთილშობილნი და სათნო ადამიანები იყვნენ და საზოგადოებაში დიდ მოწიწებასა და სიყვარულს იმსახურებდნენ.



მეუღლე ნორადი ბერაია ოჯახის ერთგული და ტრადიციების მიმდევარი ადამიანი, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუაა.

ერთადერთი ქალიშვილი მაია ხელოვანია, ქ. ფოთის სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა და ხობის სამუსიკო სკოლაში პედაგოგად მუშაობს.

სიძე თემურ წურწუმია, ერუდირებული, განათლებული და წარმატებული ადამიანია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტი დაამთავრა. ამჟამად კომპანია „ავერსის“ ხობის ფილიალის მენეჯერია.

შვილიშვილმა თემუკა წურწუმიამ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, მარიამი კი მე-10 კლასის გამორჩეული მოსწავლეა, ცეკვავს მღერის, უკრავს და აქვს ლიდერობის განსაკუთრებული უნარი.

ქალბატონ მარინეს მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, წელთა სიმრავლე, ხალისიანი დღეები, სიყვარული და სიხარული, ბედნიერება თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. კიდევ დიდხანს ემსახუროს ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

***ნაირა ბერაია.***

## სატელეფონო შეხმიანების ექო

„კოლეგებო, ამასწინათ ტელევიზიით ვუყურე გადაცემას, „წიგნების თარო“, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქ. თბილისის №51-ე და ქ. ხობის №2 საჯაროს სკოლის მოსწავლეები.

აღფრთოვანებას ვერ ვფარავ, მინდა გაზეთის საშუალებით მოვეფერო თითოეულ მოსწავლეს, მათ მშობლებს, უპირველესად მივულოცო მათ მასწავლებლებს, სრულიად საქართველოს. კიდევ ერთხელ ბედნიერი ვარ ჩემი ხობელობით. მინდა ვუთხრა პროექტში მონაწილეებს, წიგნი და წიგნთან მეგობრობა არის ერთადერთი წყარო მომავალი ბედნიერებისა და წარმატებებისა. მე, გლეხის შვილმა, პირველხორგელმა კაცმა, წიგნიერებით უამრავი სიხარული გამოვცადე ცხოვრების ეკლიან გზაზე. გჯეროდეთ, გამარჯვება წინაა, კიდევ ერთხელ გილოცავთ, გგულშემატკივრობთ“

***ვაჟა დოლბაია–ეგრისელი,***
***პოეტი აკადემიკოსი.***

*P.S. ბატონ ვაჟა დოლბაიას შეხმიანების შემდეგ დავუკავშირდით ხობის №2 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ნანა ქვარაიას და დეტალები დავაზუსტეთ:*

*პროექტის მონაწილეები ცოტნე გუჩუა (მე-12 კლასი), ნოდარ ქირია და ბაკურ ბუკია (მე-11 კლასი) წარმატებული მოსწავლეები არიან. მათ პროექტში გამოავლინეს მაღალი ინტელექტი, ასახელეს სკოლა, მშობლები, მუნიციპალიტეტი. ისინი მე-8 ნახევარფინალში თბილისის 89-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრის მოლოდინში არიან. გამარჯვებულს კემბრიჯის საზაფხულო ბანაკის ორკვირიანი საგზური ელოდება.*

*მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო და ახალი წარმატებები ვუსურვო მათ–გვითხრა ქალბატონმა ნანამ.*

*ჩვენც სიამოვნებით ვუერთდებით მოლოცვებს.*

***მერი ლაგვილავა.***

## მოლოცვა

### ანი კვაშილავას



ჩვენო ცუნცულა გოგო, გილოცავთ დაბადების დღეს, შენი სითბო და სიხარული არ მოგვაკლოს უფალმა. ვხარობთ სწავლაში შენი წარმატებებით. გვსურს მუდამ ლაღი, ხალისიანი გიხილოთ. ულევი სიხარული გინათებდეს მომავლის გზას.

***დედა მერი კვიკვინია, ბებია და ბაბუა.***

## განცხადება

***სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ ქ/ს „ხორგა 220“-ში 220 კვ პორტალზე „პალიასტომი 2“-ის შეჭრა-გამოსვლისთვის №235–№245 საყრდენებს შორის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა***

**საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი:** ქ. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189;

**საჯარო განხილვის ჩატარების თარიღი და დრო:** 2016 წელი, 15 დეკემბერი, 14:00 სთ.

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ქ/ს „ხორგა 220“-ში 220 კვ პორტალზე „პალიასტომი 2“-ის შეჭრა-გამოსვლისთვის №235–№245 საყრდენებს შორის რეკონსტრუქცია.

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 2016 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ.2. საკონტაქტო პირები: თინათინ ჟიჟიაშვილი, ტელ: 577380113, ელ. ფოსტა: tinatin.zhizhiashvili@gse.com.ge; ირაკლი ჯინორია, ტელ: 577 38 11 11 ელ. ფოსტა: irakli.jinoria@gse.com.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისი. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.2;

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ.№189;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. 6; ტელ.: +995 (32) 272-72-60;

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.